ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TSAGERI MUNICIPALITY TOWN HALL

ბრძანება:**ბ80. 80240122**

თარიღი:**12/01/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' და „ე.ი'' ქვეპუნქტების, 853 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' და „თ'' ქვეპუნქტების, 854-1 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს ორგანოებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში,რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში,რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები. კრებები და კონსულტაციები დაიწყოს ამ ბრძანების გამოცემიდან მე-15 დღის შემდგომ თანახმად N 1 დანართისა.

2. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N 1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დამ 18 საათამდე, 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

5100, ქ.ცაგერი. რუსთაველის ქ.№58. ტელ.: (+995) 599 18 24 25,ელ. ფოსტა: TSAGERIMERIA@GMAIL.COM
5100, RUSTAVELI STR. #58, TSAGERI,GEORGIA, TEL.: (+995) 599 18 24 25 EMAIL: TSAGERIMERIA@GMAIL.COM

დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და

საპროექტო წინადადებების მიღებაზე და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით

მამუკა ხიმშიაშვილი - მერის პირველი მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი -577 77 29 89 mamukakhimshiashvili@gmail.com

ზურაბ ხეცურიანი- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მობილური- 599 18 24 25, ელ.ფოსტა: tsagerimeria@gmail.com

სოფო გვიშიანი-მობილური N 599 27 58 08, ელ.ფოსტა: arqiteqtura63@gmail.com

თენგიზ მეშველიანი - მობილური 577 38 10 72, ელფოსტა: takveri2010@gmail.com

იური ლარცულიანი - მობილური N 559 54 75 77 ელ.ფოსტა:takveri2010@gmail.com

ინგა ბურჯალიანი - მობილური N 595 56 98 48, ელ.ფოსტა:arqiteqtura63@gmail.com

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქ. N 69).__

ლევან ზალკალიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი